

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო
საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა
4 ოქტომბერი 2019 წ.

შეხვედრის მონაწილეები:

მზია ტაბატაძე – ქსს-ს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, საზედამხედველო კომიტეტი

ნინო მამულაშვილი – ქსს-ს პარტნიორი/ დონორი ორგანიზაციები, საზედამხედველო კომიტეტი

ნიკოლოზ მორზაშვილი - ქსს-ს, პაციენტთა კავშირი, ყოფილი ტბ პაციენტი

ლაშა თვალაშვილი - ქსს-ს, აივ-პოზიტიური თემი

ქეთევან სტვილია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ-ის პროგრამის მენეჯერი

მაკა დანელია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ-პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

ნინო ვახანია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ფინანსური მენეჯერი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი;

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

2019 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის მე-2 შეხვედრა.

მაკა დანელიამ წარადგინა 2019 წლის მე-2 კვარტალის ტბ დემზორდების ფინანსური, მენეჯერული და პროგრამული მონაცემები.

დემზორდების ფინანსური ნაწილის განხილვისას აღინიშნა, რომ ყველა გადარიცხვა ხორციელდება დროულად. ქვე-კონტრაქტორების მხრიდან ანგარიშგება ხორციელდება დროულად. მედიკამენტების მარაგის ამოწურვა არ ფიქსირდება.

ქ-ნმა მაკამ განმარტა დაფიქსირებული სხვაობა ციკლოსერინის და ლინეზოლიდის მიმდინარე და სარეზერვო მარაგს შორის (წითლად მონიშნული ველი) და აღნიშნა, რომ ჯანმოს მიერ გამოცემული მკურნალობის განახლებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ადრე შესყიდული ზოგი ტბ მედიკამენტი გამოუყენებადი გახდა. რესურსების დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით, 4-თვიანი სარეზერვო მარაგის ნაცვლად შესყიდულ იქნა 3-თვიანი მარაგი. ამჟამად, ყველა მედიკამენტი (ციკლოსერინი, ლინეზოლიდი, კლოფაზიმინი) შესყიდულია და ადგილზეა. განმარტება რაციონალურად მოიაზრება.

განხილულ იქნა პროგრამული ინდიკატორის - *მკურნალობაში ჩართული XDR ტბ შემთხვევების რიცხვი*- არასრული შესრულება. ცხადია, რომ წარმატებულად ხორციელდება შემთხვევების აქტიური მოძიება რთულად მისაღწევი ჯგუფების დასაფარად. არ მცირდება პაციენტების რიცხვი, რომლებსაც უტარდებათ სკრინინგი და დიაგნოსტიკური ტესტირება. ანგარიშგების პერიოდში ტუბერკულოზის ახალი და რელაფს შემთხვევების მქონე პაციენტების 94%-ს ჩაუტარდა GeneXpert ტესტირება. ამრიგად, ინდიკატორის არასრული შესრულება წარმოადგენს ტბ ინციდენტობის ჭეშმარიტი კლების შედეგს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასება ასევე ადასტურებს აღნიშნულ ტენდენციას. ამრიგად, ინდიკატორი - ტბ შემთხვევების სავარაუდო რაოდენობა/ტბ ინციდენტობა შესაბამისად დაკორექტირდა. განახლებული ინდიკატორი/სამიზნე ასევე აისახება გრანტის შესრულების ანგარიშში (PUDR) და დემზორდში.

ალექსანდრე ასათიანი – წარადგინა 2019 წლის მე-2 კვარტალის აივ დემზორდების ფინანსური, მენეჯერული და პროგრამული მონაცემები. არ ფიქსირდება ფინანსური და მენეჯერული ინდიკატორების დაგვიანებით/არასრულად შესრულება. ყველა პროგრამული ინდიკატორი სრულდება დასახული სამიზნის მიხედვით ან გადაჭარბებით. ამჟამად არვ-ზე მყოფი პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 87%-ს; სამიზნე არის წლიური და შესაბამისად მოსალოდნელია მისი შესრულება საანგარიშო წლის ბოლოსთვის.

საზედამხედველო კომიტეტს მიეწოდა ინფორმაცია შიდსის ცენტრისთვის კონდომების გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გათვალისწინების შესახებ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა ასევე მიაწოდეს კომიტეტს ინფორმაცია შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების შესახებ. ცენტრი გეგმავს შესთავაზოს გლობალურ ფონდს შერჩეულ საიტებზე პილოტირება. გადაწყვეტილება რაციონალურად ისახება, რადგანაც დაეხმარება ჩართულ მხარეებს დაფინანსების ამგვარი მექანიზმის პრო- /კონტრ- არგუმენტების იდენტიფიცირებაში. განხილულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოსალოდნელი

ცვლილებები დღგ-ს კუთხით და მათი პოტენციური ზეგავლენა აივ/ტბ პროგრამებზე. იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზებული ცვლილებები დამტკიცდა და როგორც მოსალოდნელია 2020 წლის იანვრიდან ძალაში შევა განახლებული კოდექსი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამედიცინო სერვისები შეინარჩუნებს დაბეგვრიდან თავისუფალ სტატუსს, თუმცა სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პრევენციული სერვისები, სოციალური და მხარდაჭერის სერვისები დაექვემდებარება 18%-იან დაბეგვრას. ამრიგად, სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების ფაქტობრივი ბიუჯეტი შემცირდება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაზრდილი სამიზნეების შესრულების შესაძლებლობას.

რეკომენდაციები:

- საზედამხედველო კომიტეტი და ყველა განმახორციელებელი პარტნიორი ინფორმირებული უნდა იყოს საგადასახადო კოდექსის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით; განხორციელდეს სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების საჭირო მხარდაჭერა, ბიუჯეტის მოსალოდნელი შემცირებასთვის მზადების მიზნით; ან გრანტების ძირითადად მიმღებმა უნდა შეიმუშაოს სტრატეგია განმახორციელებელი ორგანიზაციების ოპერაციული ბიუჯეტის შემცირების თავიდან აცილების მიზნით;
- საზედამხედველო კომიტეტმა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად გადაამოწმოს შიდსის ცენტრთან სტაბილური პაციენტებისთვის მედიკამენტების სამთვლიანი მარაგის (ერთთვლიანი მარაგის სანაცვლოდ) გაცემის საკითხი. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება პაციენტებზე, რაც თავის მხრივ წვლილს შეიტანს ზრუნვასა და მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერაში.
- საზედამხედველო კომიტეტი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოახდენს შიდსის ცენტრში პაციენტების ელექტრონული ხელმოწერების დანერგვის საკითხის, მონიტორინგს, პაციენტების კონფიდენციალურობის საკითხის გაუმჯობესების მიზნით.
- სამეგრელოს და აჭარის რეგიონში საზედამხედველო ვიზიტების ჩატარება. ზუგდიდის და ბათუმის საიტებზე განხორციელებული სავსე ვიზიტების დაკვირვების საგანი იქნება: 1) პაციენტთა კავშირის მიერ ორივე საიტზე მხარდაჭერილი ტბ დამყოლობის ჯგუფების მუშაობა; 2) აივ/შიდსის, ტბ, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირებულ პროგრამასთან დეტალური გაცნობა; პროგრამის აივ და ტბ შემთხვევების მოძიების გაუმჯობესებაში წვლილის მასშტაბის შესწავლა.